მაგდა ყვავაძე

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება ©2021 წელი, მაგდა ყვავაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი (სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი, წოდება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი)

მაგდა ყვავაძე

Magda.kvavadze.1@iliauni.edu.ge; **598 08 46 38**

ვადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“

1. მომზადებულია ჩემს მიერ და იგი:

ა. არ არღვევს მესამე პირთა საავტორი უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ. სრულად და ნაწილობრივ არ არის გამოყენებული მონოგრაფიები ჩემს ან სხვა ნებისმიერი პირის მიერ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

გ. ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ შესამოწმებლად წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ემთხვევა ერთმანეთს.

ავტორის ხელმოწერა: _____ (მაგდა ყვავაძე)

თარიღი: ___/___/___

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მაგდა ყვავაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **,,დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____ (გია ლილუაშვილი)

თარიღი: ___/___/___

რეზიუმე

იურიდიულ ლიტერატურაში დაუსწრებელ წარმოებას უწოდებენ ,,გამარტივებულ პროცედურას", ეს არის გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძვნება გამოუცხადებლობას და სასამართლოს მიერ არ ხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლა.დაუსწრებელი გადაწყვეტილება ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თავიდან იქნეს არიდებული საქმის გაჭიანურება, რომელსაც ხშირად არაკეთილსინდისიერი მხარე ცდილობს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი საყურადღებო და სადავო ინსტიტუტია, შესაბამისად, ხშირად არის მსჯელობის საგანი. ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI-ე თავში.

როდის არის შესაძლებელი ან დაუშვებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რატომ უნდა გაუქმდეს უკვე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღნიშნულ ნაშრომში გადმოცემულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ანალიზი, ამასთანავე მრავლად არის მოცემული სასამართლოს სამივე ინსტანციის მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა.

Abstract

In legal literature trial in absentia is called ,, summary judgment". It is a decision, made against the person, who is not physically present and tendered evidence is not studied by the court.

Default judgment is a very important tool and can avoid retrial, chich is often unfairly attempted by litigants. Default judgment is one of the most considerable and disputed institutions of Civil Procedure Code. Accordingly, is often a point of i ssue. Thus, my case study represents the legal basis of default judgment and analysis of case law, considered in Civil Procedure Code of Georgia, chapter XXVI.

When the default judgment is possible or inadmissible and why already passed judgment has to be recalled. In thos work it is indicated theoretical, as well as practical analysis of default judgment and also given a lot of examples of judicial practice of all three instaces.

შინაარსი

შესავალი 7
ლიტერატურის მიმოხილვა 9
თავი I - დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ძირითადი არსი 10
1.1.დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი 10
1.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი 13
1.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობები და მხარეთა სათანადო ინფორმირებულობა 15
1.4.ჩაბარება საჯარო შეტყობინების მეშვეობით 17
1.5.დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო 18
1.6 დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო 20
1.7 სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები 23
1.8 ორივე მხარის გამოუცხადებლობა 25
1.9 შესაგებლის წარმოუდგენლობის სამართლებრივი შედეგები 27
1.10 განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება 31
თავი II- დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება და გამოტანის დაუშვებლობა 34
2.1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება 34
2.2 კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება 38
2.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძვლები 40
2.4 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში 46
თავი III დაუსწრებელი გადაწყვეტილების თავისებურებები საოჯახო სამართალში 49
3.1 ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ 49
თავი IV დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი სააპელაციო სასამართლოში; 51
4.1 მხარეთა გამოუცხადებლობა სააპელაციო სასამართლოში 51
შედეგები და მათი განსჯა 55
დასკვნა 56
გამოყენებული ლიტერატურა 60

შესავალი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეს არის საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება. დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, იმგვარად, რომ არ ხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მათი მოსაზრების გამოკვლევა. არსებული ინსტიტუტის მთავარი მიზანია, როგორც სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტა, ასევე სასამართლოს ეფექტიანი საქმიანობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი სრულად ეთმობა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მასში განხილულია მისი არსი, გასაჩივრება, დაუშვებლობა და სხვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე და 230-ე მუხლები ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ როდესაც სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე ან მოპასუხე მხარე, სასამართლოსათვის არ არის ცნობილი მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ, გამოუცხადებელი მხარე სასამართლოში მოწვეულ იქნა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სასამართლო პროცესზე გამოცხადებული მხარე შუამდგომლობს გამოუცხადებელი მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით, ამასთანავე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია მოპასუხე მხარის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობა;

ჩემი კვლევის მიზანია, უკეთ იქნეს გაგებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი, იმ პრაქტიკული და თეორიული პრობლემების მიმოხილვა, რასაც მხარეები აწყდებიან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

კვლევის ამოცანას კი წარმოადგენს ძირითადი პრობლემებისა და ნაკლის წარმოჩენა და ყველა იმ ასპექტის უკეთ დანახვა, რაც

საყურადღებოა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, რა უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნულ სიტუაციაში და ასეთი გადაწყვეტილების მიღებას რა გამოწვევები ახლავს თან.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, საკითხის კვლევა შესრულებულ იქნება, ლიტერატურის მიმოხილვითა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემული ნაშრომი, შეიცავს მითითებულ თემასთან დაკავშირებით ,,დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს. ნაშრომში მოცემულია ძირითადი პრობლემები, რაც თან ახლავს ჩემს მიერ განხილულ თემას.

ნაშრომში ძირითადი ყურადღება დაეთმო სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, მეტი თვალსაჩინოებისათვის და საკითხის ძირეული განხილვის მიზნით მოყვანილია, როგორც პირველი ინსტანციის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე მეორე ინსტანციის სააპელაციო სასამართლოს და საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.

ნაშრომში, ასევე ყურადღება გამახვილებულია ევროპული სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც აშკარად აჩვენა ის დარღვევები, რომლებსაც ვხვდებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტთან მიმართებაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება პრეცენდენტულია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დაუსწრებელი გადაწყეტილების ინსტიტუტის გაუმჯობესებაში.

თავი I - დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ძირითადი არსი

1.1.დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სათავეს იღებს რომის სამართალიდან და აღნიშნული დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების იურიდიულ პრაქტიკაში. საქართველოს მსგავსად მოცემულ ინსტიტუტს შევხვდებით იტალიის, გერმანიის, რუსეთის, ამერიკის, ინგლისის, ჩინეთის კანონმდებლობაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როგორც ქართულ, ასევე იმ ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას არის სანქცია სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის მიმართ.[1]

საქართველოში აღნიშნულ ინსტიტუტს 23 წლიანი პრაქტიკა აქვს, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი ცვლილება განხორციელდა. დღესდღეისობით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ხდება არა მხოლოდ მხარის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არამედ მოსამზადებელ სხდომაზეც, ასევე ამ დროის მანძილზე მომხდარი ცვლილება ეხება იმ ფაქტს, რომ თუ მხარემ შესაგებლის წარდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი და ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. შეგვიძლია ვთვათ, რომ დაუსწრებელმა გადაწყვეტილებამ თავისი განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საპროცესო სამართალში.

საინტერესოა, განვიხილოთ საფრანგეთის მაგალითი დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობით იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე არ გამოცხადდება სასამართლო პროცესზე, არ ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების

[1] ირმა მერაბიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში. მართლმსაჯულება და კანონი (2007)

ინსტიტუტის გამოყენება, მოპასუხის გამოუცხადებლობა კი არ აღიქმება, როგორც მისი მხრიდან სარჩელის აღიარება, ამ შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობას, ასევე სასამართლოს შეუძლია გადადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთი, რომლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ არსებობს მე-2 ინსტანციის სასამართლოში, აპელაციაში, რადგან მოპასუხის გამოუცხადებლობის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლო იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საქმის მასალების მიხედვით, ამასთანავე რუსული სამოქალაქო კოდექსით არ არის დაშვებული მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ კუთხით მნიშვნელოვან განსხვავებას ვპოულობთ საქართველოში ჩამოყალიბებულ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტთან მიმართებაში, რადგან იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება ერთ-ერთი მხარე , რომელსაც კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ეცნობა სხდომის ადგილისა და დროის შესახებ და ამასთანავე სასამართლოს არ მიაწოდა ცნობები მისი გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. ვფიქრობ, რუსეთში ჩამოყალიბებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტით ირღვევა ის მთავარი პრინციპი, რისთვისაც შეიქმნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომ ეს არის სანქცია არაკეთილსინდისიერი მხარისათვის, რომელიც თავს არიდებს სასამართლო პროცესს, იჩენს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, უგულვებელყოფს სასამართლოს დროის რესურსსა და მართლმსაჯულების დროული განხორციელების მიზნებს და ირღვევა შეჯიბრობითობის პრინციპი.[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის

[2] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები)გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),თბილისი 2020.

შესაბამისად, ,,სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრობითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები."[3] საქართველოში იშვიათია შემთხვევა, როდესაც საქმის მასალების შესწავლის შედეგად მოხდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოცხადდა სასამართლო პროცესზე და მოანაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში.[4]

საინტერესოა, განვიხილოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლების მსგავსებისა და განსხვავების შესახებ ქართულ და გერმანულ მაგალითზე. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგები ორივე სამართლებრივ სისტემაში მსგავსია. აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არსებითი დებულება ასეთი შინაარსისაა: პარაგრაფი 345 GER-ZPO-მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება- თუ მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი, მაგრამ არ გამოცხადდა ზეპირი განხილვისათვის დანიშნულ სხდომაზე ან იმ სხდომაზე, რომლისთვისაც გადაიდო საქმის განხილვა-ანდა თუ იგი არ მონაწილეობს საქმის არსებით განხილვაში, მაშინ მას არ აქვს კიდევ ერთი საჩივრის შეტანის უფლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც ხდება საჩივრის უარყოფა.

პარაგრაფი 333 GER-ZPO-ის მიხედვით, თუ მხარე განხილვაზე არ გამოჩნდება ან არ მიიღებს მონაწილეობას განხილვაში ის მიიჩნევა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლად, გამოუცხადებლად უნდა ჩაითვალოს ის მხარეც, რომელიც გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე,

[3] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მე-4 მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

[4] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები)გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),თბილისი 2020. გვ 790

მაგრამ განხილვაში არ მონაწილეობს, გერმანული საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლი იდენტურია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

მნიშვნელოვანი განსხვავება ვლინდება შემდეგ საკითხში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის მიხედვით, პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზებით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი კი არ ცნობს პირველი წინადადების მსგავს დებულებას დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს თუ გაშვებულია ე.წ თავდაცვითი განცხადების (არა შესაგებლის) წარდგენის ვადა [5]

1.2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამასთანავე სადავო საკითხია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი სრულად მოიცავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, 230-ე მუხლი კი ითვალისწინებს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. სსსკ-ის 232[1] -ე მუხლი ითვალსწინებს მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგებს, აღნიშნულ შემთხვევაში საქმის წარმოება სპეციფიურობით ხასიათდება, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხის მიერ შესაგებლის

[5] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) თბილისი 2020 http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf

წარმოუდგენლობა გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სსსკ-ის 232-ე მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა, თუმცა ის უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.[6]

სამოქალაქო სამართალწარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი მხარე მოსარჩელე და მოპასუხე, რა თქმა უნდა, ორივე მხარის მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ,,მოსარჩელის ინტერესია, სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი და გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, მოპასუხის ინტერესი კი არის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოსარჩელისათვის"[7], თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმის განხილვაში არ მონაწილეობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ცალსახაა, რომ როდესაც სასამართლო პროცესზე ესწრება მხოლოდ ერთი მხარე შეუძლებელია მოხდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი დადგენა, რადგან პროცესს არ ესწრება მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეეძლო, რომ წარმოედგინა თავისი მტკიცებულებები და მიეთითებინა ფაქტებზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სრულყოფილი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ბრძოლის ინსტრუმენტი, მხარესთან, რომელსაც სურს საქმის განხილვის გაჭიაუნურება. ,,გარკვეული თვალსაზრისით, იგი არის აგრეთვე სასჯელი არაკეთილსინდისიერებისათვის და წახალისება კეთილსინდისიერებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის და საქმის განახლებისათვის სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო პროტესტი(საჩვარი) და რომ ამისთვის

[6] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - 1997- თავი XXVI

[7] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) თბილისი 2020 http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf

აუცილებელია დადასტურდეს არამარტო გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დროულად (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სასამართლოსთვის ამ მიზეზების შესახებ."[8]

,,დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სასამართლოს როგორც მოსამზადებელ, ასევე მთავარ სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს"[9]. სასამართლო უარს განაცხადებს დაუსწრებელ გადაწყვეტილების გამოტანაზე თუ მხარე დროულად აცნობებს სასამართლოს გამოუცხადებლობის შესახებ და წარმოადგენს საპატიოობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავდაპირველი რედაქციით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვები იყო სასამართლოს, მხოლოდ, მთავარ და არა მოსამზადებელ სხდომაზე, თუმცა 2010 წლის 15 დეკემბრის კანონით ეს რეგულაცია შეიცვალა დღესდეისობთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია მოსამზადებელ სხდომაზეც.[10]

1.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი პირობები და მხარეთა სათანადო ინფორმირებულობა

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უმნიშვნელოვანესი პირობა არის მხარეები სათანადო ინფორმირებულობა, რა თქმა უნდა თითოეული მხარე უნდა ფლობდეს ინფორმაციას სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სხვა შემთხვევაში თუ მხარე არ არის სხდომაზე მოწვეული 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით საქართველოს

[8] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი: ჯისიაი 2005)
[9] *სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები.* (2020). თბილისი.
[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, Justice and Law N4(35)'12;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამრთლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სასამართლო უწყების ჩაბარების სხვადასხვა გზები ესენია: ტელეფონი, ფაქსი ან სხვა ტექნიკური საშუალებები. სასამართლო თავად განსაზღვრავს უწყების ჩაბარების რომელი ფორმა გამოიყენოს.[11]

ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკა არის სატელეფონო საშუალებით მხარეთათვის სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესაბამისად მოსამართლის თანაშემწის ან სხდომის მდივანის მიერ დგება შესაბამისი სატელეფონო აქტი, რომელშიც მითითებული არის დაბარებული პირის ვინაობა, ტელეფონის ნომერი, სატელეფონო საუბრის დაწყებისა და დამთავრების დროები. სატელეფონო კონტაქტის დროს მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს განემარტებათ გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. აღნიშნული სატელეფონო აქტის ჩაკერება ხდება საქმეში. აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, სატელეფონო აქტის მეშვეობით უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით ,, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სატელეფონო გზით უწყების ჩაბარების შესაძლებლობას იძლევა, სასამართლო უწყებას მხარის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე აბარებს. იმ შემთხვევაში თუ მხარე მითითებულ ნომერს ოჯახში არამუდმივად მცხოვრებ წევრს გადასცემს აღნიშნული, მხარისვე რისკია“[12].

ასევე გავრცელებულია უწყების ჩაბარების პრაქტიკა ფოსტის მეშვეობით, უწყების გაგზავნა ხდება მინიმუმ ორჯერ სასამართლოსათვის ცნობილ და ასევე ყველა ალტერნატიულ მისამართზე. უწყების ამ გზით ჩაუბარებლობის შემთხვევაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო მიმართავს პოლიციის დავალების შესახებ განჩინებას, რომელიც

[11] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

[12] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე N2ბ/33-15 http://library.court.ge/judgements/14942017-04-17.pdf

გულისხმობს უწყების ჩაბარებას პოლიციის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მეშვეობით.

1.4.ჩაბარება საჯარო შეტყობინების მეშვეობით

ასევე აუცილებლად აღსანიშნავია საჯარო შეტყობინების არსი სსსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით, ,,თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში- მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.“[13] საჯარო შეტყობინება გამოიყენება, მაშინ, როდესაც მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, თუმცა აღნიშნული პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საჯარო შეტყობინება ხშირ შემთხვევაში გაუმართლებელია და ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან ვებ-გვერდის შესახებ, რომელშიდაც ქვეყნდება საჯარო შეტყობინება ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ადვოკატებისათვის და ამ სფეროში კარგად გარკვეული ადამიანებისთვის არის ცნობილი. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, თავსდება თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში და სასამართლოს ვებგვერდზე- www.ecd.court.ge განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე N2ბ/2815-16, რომლის მიხედვითაც, გაუქმდა

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 78-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოპასუხე მხარეს პუბლიკაციის მეშვეობით ეცნობა მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის თაობაზე და შესაგებლის წარდგენისათვის განესაზღვრა 10 დღის ვადა. მხარეს გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები არ ჩაბარდა და უკუგზავნილში მინიშნებულ იქნა, რომ ადრესატი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ხოლო ოჯახის წევრებმა კი უარი განაცხადეს გზავნილის ჩაბარებაზე. გზავნილიდან არ ირკვევა ადრესატის საზღვარგარეთ ყოფნა წარმოადგენდა დროებით მოვლენას, თუ პირი საზღვარგარეთ იმყოფებოდა საცხოვრებლად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს მხოლოდ ერთხელ გაეგზავნა გზავნილი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ყველა რესურსი არ იქნა გამოყენებული . ,,შესაბამისად პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების წინაპირობები და ასეთი შეტყობინება არ ითვლება კანონით დადგენილი წესით გზავნილის მხარისათვის ჩაბარებად“.[14]

1.5.დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო

,,თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე -78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

,,თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

[14] თბილისის საპელაციო სასამართლო 2016 წლის 09 სექტემბერი განჩინება საქმეზე N2ბ/2815-16

წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს ის დაკმაყოფილებაზე.“[15]

ხშირად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო. მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია სამი პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, კერძოდ: 1) გამოცხადებული მოსარჩელის თანხმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და 2) დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ზოგადი პირობების არსებობა, ასევე აუცილებელია მესამე პირობაც: მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი), შესაბამისად მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას აუცილებელია შემოწმებულ იქნეს მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, რომელიც მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ამართლებს თუ არა სამართლებრივად სასარჩელო მოთხოვნას. თუ მსგავსი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.[16]

განვიხილავ საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო საქმეზე N2/8633-20 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 02 ივნისის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2020 წლის 10 ივნისს 11:00 საათზე, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს. მოპასუხის წარმოამდგენელთან შედგა სატელეფონო კავშირი, რისი მეშვეობითაც ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი, თუმცა არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს

[15] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997. საკანონმდებლო მაცნე.

[16] თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი: ჯისიაი 2005)

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგი წინაპირობები: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარეთათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადების და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას და არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. [17]

1.6 დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა

„1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.“

„2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების

[17] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/8633-20

წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.“[18]

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლია 2 პირობის არსებობის შემთხვევაში: თუ მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული შუამდგომლობა, რა თქმა უნდა, ასახულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის ოქმში, ან თუ შუამდგომლობა წარმოდგენილია წერილობით დაერთოს ის საქმის მასალებს. მეორე პირობა, რაც აუცილებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთვევაში ეს არის: მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლის შესაბამისად გაეგზავნა და ჩაბარდა შეტყობინება, თუმცა სასამართლოს არ მიუღია არანაირი ცნობები მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე არ გამოცხადდება მოპასუხე დგას არჩევანის წინაშე შეუძლია იშუამდგომლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე, სარჩელი დარჩეს განუხილველი ან გადაიდოს სასამართლო სხდომა. თუ სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე არ ეთანხმება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას ან არ სურს სარჩელის განუხილველად დატოვება სასამართლო სხდომა ინიშნება სხვა დროისათვის. ახალი სხდომის თარიღისა და დროის შესახებ გამოუცხადებელ მხარეს უნდა ეცნობოს სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო სხდომაზე კვლავ არ ცხადდება მოსარჩელე, რომელსაც კანოით დადგენილი წესის შესაბამისად ეცნობა სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ, ამ შემთხევაში მოპასუხის თანხმობა საჭირო აღარ არის დაუსწრებელი გააწყვეტილების გამოტანისათვის.

[18] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი-1997-თავი XXVI

საინტერესოა შემდეგი რამ, მოპასუხის თანხმობის არა სავალდებულოობა, მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხომ არ არღვევს მოპასუხის ინტერესებს? ამ კითხვაზე საინტერესო განმარტებას ვკითხულობთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის წიგნიდან თენგიზ ლილუაშვილის ავტორობით, რომელიც განმარტავს, რომ ,,დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყოველთვის არის გამოუცხადებელი მხარისათვის არახელსაყრელი და გამოცხადებული მხარისათვის მომგებიანი, ამიტომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით არასდროს არ შეიძლება შეილახოს სასამართლო პროცესზე დამსწრე მხარის ინტერესები.“[19]

საინტერესოა განვიხილოთ, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, პირველი ინსტსანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე N2/21328-20 რომლის მიხედვითაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 მარტის განჩინებით საქმეზე დაინიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა და სხდომის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 14 აპრილი, 16:00 საათი, როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სხდომაზე აღნიშნულ დროს არ გამოცხადდა მოსარჩელე მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, კერძოდ, კი სატელეფონო შეტყობინების გზით, სატელეფონო შეტყობინების დროს კეთდება შესაბამისი სატელეფონო აქტი, მხარესთან ამ გზით უწყების ჩაბარების შემთხვევაში მას ეცნობება, რომ საუბარი იწერება, ხდება განმარტება გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ და ასევე საუბარშივე სასამართლოს აპარატის თანამშრომელი განუმარტავს, რომ დამატებითი უწყება მხარეს აღარ გაეგზავნება, სატელეფონო აქტში კი მიეთითება საუბრის დაწყებისა და დასრულების თარიღი, იმ შემთხვევაში თუ მხარის მიერ სადავო გახდება ჩაბარება ამ გზით შესაძლებელია აღნიშნული სატელეფონო გასაუბრების ჩანაწერების ამოღება მითითებული

[19] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი: ჯისიაი 2005)

დროის მიხედვით. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. მიმაჩნია, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მოსარჩელეს ეცნობა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობა კი იყო არასაპატიო, ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ სასამართლო სხდომის დაწყების შემდეგ გამოცხადებულ შესვენებაზე ასევე გადამოწმებულ იქნა საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელე მხარეს განცხადება/შუამდგომლობა გამოუცხადებლობის საპატიოობის შესახებ არ წარმოუდგენია, არც სატელეფონო შეტყობინებით უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. საქმის განხილვაზე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობის კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს.[20]

1.7 სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

საყურადღებოა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთი პირობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, მხარე, რომელიც დანიშნულ დროს გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე ითვლება გამოუცხადებელ მხარედ და მის მიმართ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ საპატიოდ არ მიიჩნია საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოება , რომ მხარემ აღელვების ნიადაგზე დატოვა სხდომის დარბაზი, მხარის განმარტებით აღელვება გამოწვეული იყო შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.

[20] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე 2/21328-20

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული განჩინება მას შეეძლო გაესაჩივრებინა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად (სუსგ 2002 წ, N11, გვ.2130) აქედან გამომდინარე, მიტოვება არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარე სასამართლოს წინაშე დააყენებს ამა თუ იმ შუამდგომლობას, სასამართლოს მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში კი ის პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომის დარბაზს. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის დანაწესი სრულიად მართებულია, რადგან იმ შემთხვევაში თუ მხარე ყოველი აღელვების ნიადაგზე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადდება, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, ან შუა პროცესში ტოვებს სხდომის დარბაზს მხარის მიერ აღნიშნული ქმედება არ უნდა გახდეს პროცესის გადადების საფუძველი, რადგან ეს გამოიწვევს პროცესების დროში გაწელვას და მართლმსაჯულების არადროულ განხორციელებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეული იქნება, როგორც გამოუცხადებლობა და მათ მიმართ გამოიტანენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

ამ კუთხით განსხვავდება ქართული და გერმანული მოდელი, გერმანიის საპროცესო კოდექსის 334-ე პარაგრაფი გამორიცხავს მხარის მიერ ნაწილობრივი მონაწილეობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, მიუხედავად იმისა მხარე სხდომაზე დასწრებისას არის თუ არა ჩართული საქმის განხილვაში, მონაწილეობს თუ არა საქმის განხილვაში ან/ და იძლევა თუ არა განმარტებებს საქმეზე.[21] გერმანიის საპროცესო კოდექსის აღნიშნული პარაგრაფის დანაწესი არ მიმაჩნია მართებულად, რადგან ვფიქრობ ეს არასათანადო პირობებში

[21] ირმა მერაბიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში მართლმსაჯულება N3 (2007):144

აყენებს იმ მხარეს, რომელიც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა, სრულად ჩართულია სასამართლო პროცესში და აძლევს სასამართლოს ახსნა-განმარტებებს;

1.8 ორივე მხარის გამოუცხადებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის შესაბამისად თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.[22]

ხშირია სასამართლო პრაქტიკაში შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ ცხადდება არც ერთი მხარე. ორივე მხარის გამოუცხადებლობა არის საფუძველი იმისა, რომ გადაიდოს სხდომა ან სარჩელი დარჩეს განუხილველი. სასამართლო სხდომა გადაიდება იმ შემთხვევაში თუ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად არ აქვთ უწყება ჩაბარებული, სხვა შემთხვევაში თუ დასტურდება მხარეთათვის ჩაბარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო იღებს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ,, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში , რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, მოსარჩელეს შეუძლია კვლავ აღძრას იგივე სარჩელი საერთო წესების დაცვით“.[23]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას კანონი სხდომაზე ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ ითვალისწინებს იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ დაუსწრებელი

[22] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 231-ე მუხლი საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
[23] თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II (გამოცემა თბილისი: ჯისიაი 2005)

გადაწყვეტილება მიეკუთვნება ისეთი ტიპის გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, მაგრამ თუ სხდომაზე მხარეები არ ცხადდებიან ივარაუდება, რომ მათ დავის მიმართ ინტერესი დაკარგული აქვთ.[24]

იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის ან მოპასუხის გამოუცხადებლობა გამოწვეული არის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებით, მოსარჩელე მხარეს აქვს უფლება სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება გაასაჩივროს კერძო საჩივრით, ამ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ისევ მიმართოს სასამართლოს, იმავე დავის საგანთან დაკავშირებით ახალი სასარჩელო წარმოებით.[25] ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე განიხილება პირველ ინსტანციაში და ამ საქმესთან დაკავშირებით არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რაც შეეხება მეორე ინტსანციაში საქმის განხილვის დროს, თუ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ორივე მხარის გამოცხადების გამო, მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს მხოლოდ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა აღნიშნული განჩინება გაუქმებული, ძალაში რჩება ამ საქმეზე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლოს საჩივრის საკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებით შედის ძალაში. ეს შემდგომში მხარეს უკარგავს საშუალებას მიმართოს სასამართლოს იმავე დავის საგანთან მიმართებაში კიდევ ერთხელ ვინაიდან, აღნიშნულ დავის საგანთან მიმართებაში საქმეზე უკვე კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება იარსებებს.[26]

---

[24] თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II (გამოცემა თბილისი: ჯისიაი 2005)

[25] (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 231-ე და 278-ე მუხლები. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

[26] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 თავი XXVI

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე მხარის გამოუცხადებლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევვას არ ითვალისწინებს.

1.9 შესაგებლის წარმოუდგენლობის სამართლებრივი შედეგები

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით, კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს სარჩელით დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო პირს რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია თავი დაიცვას მისგან. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.[27]

შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა 2007 წლის 28 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით. კოდექსს დაემატა 232[1] მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, ,,მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება". ამ ცვლილებების განხორციელების შემდეგ შესაგებლის წარმოდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოპასუხის მიმართ დგება არასასურველი სამართლებრივი შედეგი უფრო ზუსტად კი მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[28]

---

[27] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)თბილისი, 2020

[28] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) თბილისი, 2020.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] -მუხლში განმარტებულია მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შედეგები. სსსკ-ის 201-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოპასუხე მხარე არ წარმოადგენს შესაგებელს და ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[29] მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, იმ შემთხვევაში თუ სარჩელში მითითებული გარემოებები შესაბამისობაში მოდის მოთხოვნასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რომლის შესახებაც მხარეები მოწვეულ უნდა იქნენ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.[30] ,,სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.“[31] შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხემ აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ზეპირი მოსმენის გარეშე არ ეწინააღდეგება შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს. მოპასუხეს შეეძლო გათვალისწინებული ვადის შესაბამისად წარმოედგინა შესაგებელი, ან მოეთხოვა გონივრული ვადა მტკიცებულებებისა და შესაგებლის წარმოდგენისათვის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების პირობები მხარეთა გამოუცხადებლობის გამო და შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო. შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ საჭიროებს მოსარჩელის

[29] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2321-ე 201-ე მუხლები. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.
[30] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2321-ე 70-ე-78-ე მუხლები. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997
[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2321-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997

შუამდგომლობას, სასამართლო თავისი ინიციატივით იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ან ნიშნავს სხდომას.[32]

პირველი მთავარი პირობა მანამ, სანამ დაინიშნება სასამართლო სხდომა არის საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრა. სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ვადის განსაზღვრა მოპასუხისათვის რადგან მან შეადგინოს შესაგებელი და წარმოადგინოს ის სასამართლოში. მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს საპატიო მიზეზი, სასამართლო რა თქმა უნდა აფრთხილებს მოპასუხეს შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგების შესახებ. განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გააწყვეტილება.

საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინება, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი. აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყეტილებისა და განჩინების გაუქმებას. აპელანტი მიუთითებდა, რომ მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის გამო 10 დღიან ვადაში შესაგებელი ვერ წარმოადგინა .

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნევს შემდეგს: მოპასუხეს სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად ჩაბარდა სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ 10 დღეში მან არ წარმოადგინა შესაგებელი, ამასთანავე არც საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის

[32] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 229-ე, 232[1]-ე მუხლები.საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

შუამდგომლობის საფუძველზე შესაგებლის წარდგენისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, შესაბამისად თუ მოპასუხე თვლიდა, რომ განსაზღვრული ვადა არ იყო საკმარისი აღნიშნულის თაობაზე უნდა ეცნობებინა სასამართლოსათვის და მოეთხოვა ვადის გაგრძელება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მას ასეთი შუამდგომლობით არ მიუმართავს სასამართლოსათვის. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტმა ვერ დაადასტურა შესაგებლის წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების არსებობა.[33]

სასამართლოს მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო ვადის გაგრძელება ან/და შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს თუ იარსებებს სსსკ-ის 215 მუხლით დადგენილი საპატიო გარემოება. საპატიო გარემოებას მიიჩნება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელებას.[34]

ასევე, მაგალითად მინდა მოვიყვანო თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/2803-21, სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი და გამოარკვია, რომ საქმის მომზადების მიზნით, მოსარჩელის წარმოამდგენელს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, გადაეცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტის ასლები მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. 2021 წლის 02 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, განცხადებას დაურთო მოპასუხისათვის სარჩელისა და მასალების ჩაბარების დასტური, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნა და 2021 წლის

[33] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N2ბ/92-15
[34] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 232[1]-ე მუხლი საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

23 თებერვალს ჩაბარდა. სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგი წინაპირობები საქმის მასალებით დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ჩაბარდა მოპასუხეს 2021 წლის 23 თებერვალს, შესაგებლის წარმოდგენისათვის მოაპსუხეს განესაზღვრა 10(ათი) დღის ვადა. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია და არც შესაგებლის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია, ასევე არც შესაგებლსი წარმოსადგენად განსაზღვრული საპროცესო ვადის გაგრძელება მოუთხოვია.

პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, ამასთანავე თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც მიღებულ უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.[35]

1.10 განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

თუ მხარის მიმართ ერთხელ უკვე მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებლობის გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს განმეორებითაც.[36] ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარე, რომელიც ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და სურს, საქმის ხელახალი განხილვა, ისევ არ ცხადდება

[35] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე 2/2803-21

[36] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997.

სასამართლო სხდომაზე, ამ შემთხვევაში სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.[37]

მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად უნდა არსებობდეს რამდენიმე პირობა, ესენია: აუცილებელია მოსამართლის მიერ მოხდეს შემოწმება ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი პირობა, რომლიდან შესაბამისადაც ვერ მოხერხდება სასამართლოს მიერ მხარის მიმართ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, აუცილებელია პირის მიმართ არსებობდეს იმავე საქმესთან მიმართებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაუსწრებელი გადაწყვეტილება აუცილებელია მიღებულ იქნეს საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით დანიშნულ სხდომაზე. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სასამართლო იმსჯელებს იმ შემთხვევაში თუ იარსებებებს ყველა ეს წინაპირობა.[38]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარის მიმართ თუ ერთხელ უკვე მიღებულია განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეს უფლება აღარ აქვს შეიტანოს საჩივარი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.[39]

საინტერესოა განვიხილოთ საქარრთველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-446-418-2010. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე მხარეს მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 9996466.13 ლარის გადახდა. მოპასუხის საჩივრის საფძველზე, ამავე სასამართლოს 2008

[37] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი: ჯისიაი 2005)
[38] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი:ჯისიაი 2005)
[39] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 242-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997.

წლის 13 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და განახლდა საქმის წარმოება, თუმცა მოპასუხე მხარე კვლავაც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების შესაბამისად, საჩივარი დაკმაყოფილდა, შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე, აპელანტის წარმომამადგენელმა საქმის განხილვამდე ერთი დღით ადრე წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვითაც, ის განთავისუფლებულ იყო იურიდული სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ მოხდა სრულყოფილად გამოკვლევა გარემოებების, კონკრეტულად კი არ გამოუკვლელია ცნობილი იყო თუ არა ორგანიზაციისათვის რომ წარმომადგენელი აღარ ასრულებდა მის უფლება-მოვალეობებს. საქმე განსახილველად დაბრუნდა პირველ ინტსანციაში. გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთდა შემდეგი განმარტება, რომ მხარე 10 დღით ადრე იყო ინფორმირებული სხდომის თარიღის შესახებ შესაბამისად, ორგანიზაციას ქონდა ის გონივრული ვადა, რომ მოეხდინა უზრუნველყოფა სხდომაზე წარმომადგენლის გამოცხადების, ამასთანავე უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ პირის სამსახურიდან განთავისუფლება აუცილებლად არ გულისხმობს წარმომადგენლობითი ფუნქციის გაუქმებას.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის განმეორებითი გადაწყვეტილება.[40]

---

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-446-418-2010 საქართელოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე.

თავი II- დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება და გამოტანის დაუშვებლობა

2.1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად ,,მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მოპასუხეს ამ კოდექსის 232[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ“ [41] ამ მუხლის შესაბამისად მხარეს შეუძლია, რომ გაასაჩივროს კანონიერ ძალაში შეუსვლელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში და მოითხოვოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება. საჩივრის შემოტანა შესაძლებელია 10 დღის ვადაში, იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი დაუსწრებელი შედის კანონიერ ძალაში. რა თქმა უნდა იმისათვის, რომ საჩივარი დასაშვებად იქნეს მიჩნეული აუცილებელი პირობაა, რომ არ იქნეს დარღვეული საჩივრის შეტანის ვადა, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსსკ-ის 238-ე მუხლის მიხედვით არსებული კრიტერიუმები . ამ მუხლის შესაბამისად საჩივარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ გარემოებებზე, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა ან შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზებით.[42]

---

[41] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 236-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

[42] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 238-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს საჩივრის მიღება მიაჩნია დაუშვებლად გამოაქვს განჩინება , აღნიშნულ განჩინებაზე შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო თუ საჩივარი მიღებულ იქნა, გამოტანილ იქნება განჩინება სადაც უნდა იქნეს მითითებული საქმის ხელახლა განხილვის დროის შესახებ, აღნიშნულის შესახებ სასამართლომ უნდა აცნობოს მხარეებს. მსგავსი ტიპის განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება. მასში მითითებულ უნდა იყოს ყველა ის გარემოება, რის გამოც გაუქმდა დაუსწრებელი. იმ შემთხვევაში თუ საჩივრის განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობა გამოწვეულ იყო საპატიო მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ასეთ დროს აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუმცა არ ანახლებს საქმის განხილვას, მოპასუხე მხარეს აღუდგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას შესაგებლის წარმოდგენისათვის.[43]

საინტერესოსა საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წლის 11 ივნისს მიღებული განჩინება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ საქმეზე N2/29844-19, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მოპასუხეს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა პირადად და შესაგებლის წარდგენისათვის განესაზღვრა 10 დღის ვადა, აღნიშნულ ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია, არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის და არც შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული საპროცესო ვადის გაგრძელება მოუთხოვია. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო. მოპასუხემ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. საჩივარში მითითებულ იქნა, რომ ის იყო ავად, რამაც განაპირობა მომდევნო დღიდან ასევე მისი მცირეწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის

[43] შ.ქურდაძე და ნ.ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია, (თბილისი: მერიდიანი 2015) 643-644 გვ

გაუარესებაც და ამის დამადასტურებლად წარმოადგინა ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი საჩივარი და მიჩნევს, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: შესაგებლის წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მხარე წინასწარ ვერ აცნობებდა სასამართლოს, კერძოდ კი, შესაგებლის წარმოდგენის ვადა დაემთხვა ჯერ თავად მოპასუხის, ხოლო შემდეგ მისის არასრულწლოვანი (8 წლის) შვილის ავადმყოფობას, რომელიც ცხადია, რომ საჭიროებდა დედის მოვლა-პატრონობას.

საინტერესოა ასევე სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უდევს პრეზუმცია, რომ მხარე, რომელიც არ მონაწილეობს სამართალწარმოებაში არ იცავს თავს წარმოდგენილი სარჩელისაგან, სასარჩელო მოთხოვნას ცნობს. განსახილვევ შემთხვევაში მსგავსი პრეზუმცია ვერ იარსებებს, ვინაიდან მოპასუხემ გაასაჩივრა მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გამოხატა საქმის განხილვაში მონაწილეობის აშკარა ნება. მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად დადგენილი საპროცესო ვადა აღუდგა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან განესაზღვა 10 დღის ვადა.[44]

ასევე მინდა განვიხილო თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საქმეზე N2/5282-19, მოპასუხის მიერ შესაგებლის დანიშნულ ვადაში წარმოუდგენლობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღნიშნული დაუსწრებელი გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება გარემოებად კი მიუთითა, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობა გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ

[44] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის განჩინება, საქმეზე N2/29844-19,

მისთვის არ ყოფილა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ. აღნიშნული საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება მოხდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად და ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელთა შედეგად ობიექტურად იქნა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარმოუდგენლობა.

სასამართლო აგრეთვე მოუთითებს, რომ სახეზე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომლებიც ამ კანონის მიზნებისათვის შეიძლება ასევე მიჩნეულ იქნეს შესაგებლის დროულად წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზებად. მართალია საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მან არ იცოდა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების სასამართლოში წარდგენის თაობაზე, თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე თანდართული მტკიცებულებებით, კერძოდ კი, საფოსტო გზავნილით, სადაც ხელმოწერით მოპასუხე ადასტურებს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებას დასტურდება მისი შეტყობინების საკითხი.

მიმაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად სწორად იმსჯელა და მართებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, რადგან ცალსახაა, რომ მოპასუხე ვერ ადასტურებს ისეთი გარემოების არსებობას, რომელთა შედეგადაც ობიექტურად იქნა გამოწვეული შესაგებლის წარმოუდგენლობა, ამასთანავე საქმის მასალებით და საფოსტო გზავნილზე მოპასუხის ხელმოწერით დასტურდება ჩაბარება, მოპასუხე მხარეს არ მიუმართავს სასამართლოსთვის შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების თაობაზე, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ მას არც შესაბამისი მოსამართლის აპარატში განუხორციელებია სატელეფონო ზარი აღნიშნულ მოთხოვნაზე მითითებით აქედან გამომდინარე, ვფიქრობ რომ მოპასუხის მიერ

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება სრულიად მართებულია.[45]

განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საჩივრდება სააპელაციო წესით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ,,იმ შემთხვევაში თუ განჩინების გამოცხადებას ესწრება განჩინების გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო განჩინების გამოცხადების თარიღი, განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში ჩაიბაროს განჩინების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდამ 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“[46]

2.2 კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში თუ არ საჩივრდება 10 დღიან ვადაში, რომელიც არის კანონით დადგენილი, ის შედის კანონიერ ძალაში და შეიძლება რომ აღსრულდეს . კანონიერ ძალაში შესულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ესენია: უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა, პრეიუდიციულობა, აღსრულებადობა. ცალსახაა, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება თითქმის არაფრით არ არის

[45] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე N2/5282-19

[46] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 259[1]-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997.

განსხვავებული ჩვეულებრივი წესით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისგან.

შესაძლებელია, რომ კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოება განახლდეს, თუმცა რა თქმა უნდა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფუძვლით მოითხოვს პირი საქმის განახლებას.[47]

მინდა განვიხილო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქმეზე N2/3107-19, რომლის მიხედვითაც განმცხადებლის წარმომადგენელმა მოითხოვა 2019 წლის 30 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლემა განმარტა, რომ საქმის განხილვა მის წინააღმდეგ მოხდა კანონით დადგენილი წესით მოწვევის გარეშე, კერძოდ მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაბარდა სასარჩელო განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რითაც შეეზღუდა უფლება წარმოედგინა შესაგებელი და საქმის არსებითი განხილვისას მოეხდინა თავისი უფლებების რეალიზება.

სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ მასალებს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ განცხადება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო განმცხადებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელისათვის კარგად იყო ცნობილი მოპასუხის ტელეფონის ნომერი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელეც და სასამართლოც უნდა ეცადოს გზავნილი გაიგზავნოს ყველა ცნობილ მისამართზე. ზემოაღნიშნული ფაქტების ერთობლიობაში შეფასებით, ასევე იმ

[47] შ.ქურდაძე და ნ.ხუნაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია, (თბილისი: მერიდიანი 2015) 647-648 გვ

ფაქტობრივი გარემოებების გათალისწინებით, რომ მოპასუხეს რეალურად არ ჩაჰბარებია სარჩელი და თანდართული მასალები, ამასთან როგორც კი რეალურად შეძლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარება მან გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და გაასაჩივრა იგი, სასამართლოს აძლევს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნის საფუძველს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან არ განხორციელებულა საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობა.[48]

2.3 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლში განსაზღვრულია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის წინაპირობები. ამ მუხლით გათვალისწინებულია თუ რა შემთხვევაში არ არის შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია თუ მხარეს უწყება არ ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, რა თქმა უნდა მხარის უფლებაა მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, სასამართლო კი ვალდებულია მხარეს შეატყობინოს სასამართლო სხომის დროისა და ადგილის შესახებ, უწყება მხარეებს უნდა ჩაბარდეთ იმ გონივრულ ვადაში, რომ შეძლოს სხდომისათვის მომზადება და სხდომაზე გამოცხადება, თუ საქმის განხილვა და გადაწყვეტა მოხდება მხარისათვის შეუტყობინებლად ეს არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და უნდა განახლდეს საქმის წარმოება.

საკასაციო სასამართლომ სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ შემთხვევაში შინაარსი მხარისათვის უნდა იქნებ მიწოდებული იმგვარად, როგორც წერილობითი კომუნიკაციის დროს, როდესაც უწყება მხარეებს ბარდებათ

[48] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე N2/3107-19

კურიერების ან ფოსტის მეშვეობით და ის შედგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საინტერესოა ერთ-ერთი საქმე, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გამოუცხადებელ მხარეს სრულად არ ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი. საქმეზე Nას-894-844-2015 სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ტექნიკური საშუალებებით შეტყობინებისას განსაკუთრებლი მნიშვნელობა აქვს სასამართლოში დასაბარებელი პირისათვის ინფორმაციის ამომწურავად და გასაგებად მიწოდებას. პროცესის მონაწილეთათვის სხდომის თაობაზე ინფორმაციის სრულყოფილად შეტყობინება წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის დაწყების აუცილებელ წინაპირობას, რამეთუ დაცული და გარანტირებული უნდა იყოს მხარის უფლება, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში.

პალატის მითითებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო სხდომის თაობაზე შეტყობინება შეიცავდეს მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, ასევე მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. მხოლოდ ასეთი გაფრთხილების შემთხვევაშია მხარე ვალდებული შეატყობინოს სასამართლოს სხდომაზე დაგვიანების თუ გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. მხარე სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ შესაძლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მხარეს არასრულად ეცნობა სატელეფონო საშუალებით უწყების შინაარსი, კერძოდ კი სატელეფონო შეტყობინების დროს მხარეს არ მიეწოდა ინფორმაცია გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, შესაბამისად

დადგინდა, რომ მხარე მოწვეულ არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლის შესაბამისად,რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.[49]

ასევე მინდა განვიხილო საქმე Nას-930-888-2013 აღნიშნულ საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სასამართლოს ხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის, შესაბამისად სასამართლომ არასაპატიოდ მიიჩნია მოსარჩელის გამოუცხადებლობა. მოსარჩელემ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვა საქმის განახლება. საჩივრის მიხედვით, მოსარჩელე საქმის განხილვაში არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და ამასთან შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნას. საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ აპელაციამ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაასკვნა, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში არსებული რწმუნებულების მიხედვით, მოსარჩელეს წარმომადგენელზე უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით ჰქონდა მინიჭებული. სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, რომ ამ უკანასკნელს შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ამის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია არც მოსარჩელე მხარეს და არც მის წარმომადგენელს, მათ შორის არც სატელეფონო შეტყობინების ჩაბარებისას გამოუცხადებლობის თაობაზე. შეუტყობინებლობას რაც შეეხება სასამართლომ განმარტა, რომ უწყების ადრესატი იყო ადვოკატი, იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ.

[49] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-894-844-2015, 4 დეკემბერი 2015 წელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში ყურადღება გასამახვილებელია უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო კოდექსის ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია იმიტომაც, რომ მძიმე ტვირთად დააწვებოდა თავად მხარეს. მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს ეს განმარტება სრულად მართებულია და მხარეებსაც და მათ წარმომადგენლებსაც უწყება უნდა ჩაბარდეთ დადგენილი ფორმის შესაბამისად.[50]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შესაძლოა საპატიოდ იქნეს მიჩნეული მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა თუ ეს გამოწვეული ავადმყოფობის გამო, რა თქმა უნდა მხარის ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დოკუმენტით, რომელიც არის ხელმოწერილი შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. [51] ამ მუხლთან მიმართებაში საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა. ერთ-ერთ საქმეზე საჩივრის ავტორმა წარმოადგინა სამედიცინო ბარათი, რომლის მეშვეობითაც ირკვეოდა, რომ სასამართლო სხდომის დღეს მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და დასჭირდა მედიკამენტოზური ჩარევა საკასაციო სასამართლოს განმარტებით ეს გარემოებები ნამდვილად ადასტურებდა, რომ მოსარჩელეს არ ქონდა შესაძლებლობა გამოცხადებულიყო სასამართლო პროცესზე ან სასამართლოსათვის ეცნობებინა გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N ას-930-888-2013, 19 ივნისი, 2015 წელი.

[51] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულება აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო.[52]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობას იმ შემთხვევაში თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა დაუძლეველი ძალის შესახებ. სასამართლოზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მაშინაც კი თუ ჩაბარდა უწყება გამოუცხადებელ მხარეს, მაგრამ ცნობილი გახდა სასამართლოსთვის იმ გარემოებების შესახებ, რომლის გამოც მხარემ ვერ შეძლო სასამართლოში გამოცხადება (მაგ: სტიქიური მოვლენელი, მხარის ავადმყოფობა და ა.შ).[53] სასამართლოსათვის ინფორმაციის მიღების წყაროს დაუძლეველი ძალის შესახებ მნიშვნელობა არ აქვს,სამართლებრივად მნიშვნელოვანი არ არის თუ რომელი წყაროებიდან გახდა სასამართლოსთვის ცნობილი ამ გარემოებების შესახებ.[54]

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო ვალდებულია, რომ შეამოწმოს არსებობს თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები.

საინტერესოა ერთ-ერთ საქმეში მოპასუხე მხარის მითითება, რომელიც სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნევდა მგზავრობისას შექმნილ პრობლემას, ამ გარემოებას კი ამყარებდა მოწმის ჩვენებით, აღნიშნული მოწმე მოპასუხის ნათესავი და მეგობარია. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მითითება, რომ მხოლოდ მოწმის ჩვენება დაუძლეველი ძალის დასადასტურებლად არ არის

[52] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-354-336-2015, 29 იანვარი, 2016 წელი.
[53] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) თბილისი 2020
[54] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი-1997-თავი XXVI

საკმარისი, იკვეთება ასევე გარემოება, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირის ჩვენება ეწინააღმდეგება მოპასუხის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით წარდგენილ საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. საჩივარში მოპასუხე მიუთითებს, რომ სასამართლოში გამოცხადდა 14:00 საათზე, მოწმემ განაცხადა, რომ ის მოპასუხესთან ერთად თბილისში დაბრუნდა 5:00-6:00 საათზე, შესაბამისად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოწმის ჩვენება არ ქმნის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობის ურყევ რწმენას, ამასთანავე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს შეეძლო სასამართლოსათვის სხდომამდე დროულად ეცნობებინა შესაძლო დაგვიანების მიზეზების შესახებ. კასატორის პრეტენზია ვერ იქნება გაზიარებული თბილისის საქალაქო სასამართლოსთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარების შეუძლებლობის თაობაზე, და მიუთითებს, რომ მხარეებისათვის მოსამართლის აპარატთან დაკავშირება შესაძლებელია არათუ ჯავახეთ-ახალციხიდან, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც კი ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დადასტურებულად ვერ მიიჩნევს საჩივარსა და საკასაციო საჩივარში მითითეულ გარემოებებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ.[55]

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია იმ შემთხვევაში თუ სარჩელი მიღებულია არასწორად და არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალსიწინებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველი და შეწყდეს საქმის წარმოება.[56]

[55] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-175-175-2018

[56] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა. (თბილისი: ჯისიაი 2005) 288-289 გვ

2.4 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26[1] მუხლის თანამხად, არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები ,,სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათალისწინებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს“.[57]

სამოქალაქო სამართალწარმოება დასაშვებად მიიჩნევს საქმეში არსებული მტკიცებულებებისას და სამართლებრივი დასაბუთების გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კი სასამართლოს ასეთი უფლება არ გააჩნია. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოტანოს გადაწყვეტილება. თუ მხარე არ გამოცხადდება პირველივე სასამართლოს მთავარ სხდომაზე და მას არანაირი საპატიო მიზეზი არ გაანჩია, სასამართლო ამოწმებს მხარეს ჩაბარდა თუ არა სასამართლოს მთავარ სხდომის შესახებ უწყება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და ადმინისტრაციულ საქმეს განიხილავს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, მხარის (მხარეთა) დასწრების გარეშეც, აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისრტაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კანონით მინიიჭებულ

[57] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 26[1] მუხლი

უფლებას საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს გაქტობრივი გარემოებები, მტკიცებულებები და მხოლოს ამ ყველაფრის გამოკვლევისა და შეფასების შედეგად შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება.

საინტერესოა, კონსტიტუციური სარჩელი, სადაც მოსარჩელეები სადავოდ ხდიან საქართველოს ადმინისტაციული საპროცესო კოდექსის 26 [1] მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას, რომლის შესაბამისადაც დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო სპროცესო კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მექანიზმი, მოსარჩელეთა პოზიციით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მექანიზმი სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარის ან მხარეთა მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებულო გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობისაგან მომდინარე სხვა მხარის უფლებებისათვის ნეგატიური ზეგავლენის პრევენციის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, საპროცესო ვადაში შესაგებლის, ინფორმაციის თუ დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული სამართალწარმოების არსებითი განხილვისათვის მოუმზადებლობის, სხდომების გახანგრძლივებისა და საქმის სასამართლო განხილვების უსაფუძვლოდ გაჭიანურების რისკი, რაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით პირისათვის განმტკიცებულ უფლებას დროულ მართლმსაჯულებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26[1] მუხლის პირველ ნაწილს არ გააჩნია მოსარჩელეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი ხასიათი, სასარჩელო მოტხოვნის ამგვარად დაყენება ეფუძნება მოსარჩელის მიერ სადავო ნორმისა და მისგან გამომდინარე უფლების შემზღუდველი შინაარსის არასწორ აღქმას და არსებობს

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები.[58]

[58] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 09 ივნისის კონსტიტუციური სარჩელი N2/17/1509 (ლენა სვანიძე და ზურაბ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ)

თავი III დაუსწრებელი გადაწყვეტილების თავისებურებები საოჯახო სამართალში

3.1 „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“

საოჯახო დავები სამოქალაქო სამართალში დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით განიხილება, რადგან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ოჯახის თითოეულ წევრზე. ვფიქრობ, რომ საოჯახო სამართალში დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რადგან დავის საგანი ხშირად მსგავსი ტიპის დავებში არის ბავშვთან დაკავშირებულ საკითხები.

ამ მიმართულებით საინტერესია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს მოქალაქის რევაზ გახარიას (განმცხადებელი) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ 2013 წლის 17 აპრილს სასამართლოში შეტანილი განაცხადის საფუძველზე. 2008 წლის 31 მარტს კ.გ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რადგან განესაზღვრა შვილის საცხოვრებელი ადგილი, მოპასუხე გახარიას გაეგზავნა სასამართლო უწყება რეგისტრირებულ მისამართზე ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უწყების გაგზავნა მოხდა მხოლოდ ერთხელ, აღნიშნულ მისამართზე ვერ მოხერხდა უწყების ჩაბარება და უკუგზავნილში მიზეზად მითითებულ იქნა, რომ სახლში არავინ ცხოვრობდა და კარები დაკეტილი იყო. სასამართლომ უწყების ჩაბარება განახორციელა საჯარო შეტყობინების საფუძველზე და ინფორმაცია განთავსებულ იქნა გაზეთ ,,24 საათში“. საქმეზე სასამართლოს მიერ მოხდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ამავე წელს კ.გ-მ კვლავ მიმართა სარჩელით საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა,რომ შვილის მიმართ გაცემულიყო საერთაშორისო პასპორტი და მას მამის თანხმობის გარეშე დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. კურიერის მხრიდან კვლავ ვერ მოხერხდა სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარება, ამ

შემთხვევაშიც საჯარო შეტყობინება იქნა გამოყენებული და სასამართლომ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2012 წელს აღნიშნული გარემოებების შესახებ ცნობილი გახდა განცმხადებლისათვის და მოითხოვდა ორივე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, თუმცა არც ერთი ინტსტანციის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. აპლიკანტმა მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის მოტივით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით დოკუმენტების გაგზავნა, საქალაქო სასამართლოს მხრიდან ატარებდა ფორმალურ ხასიათს, არ მოხდა ყველა შესაძლებლობის გამოყენება, მხარისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და სარჩელი დააკმაყოფილა.[59]

ფაქტია, რომ არანაირი მცდელობა არ განხორციელდა განმცხადებლის ადგილსამყოფელის მოსაძიებლად. მინსკის კონვენციის თანახმად, რომლის მხარეა საქართველო, შესაძლებელი იყო წევრი სახელმწიფოს დახმარებისათვის მიმართვა მოპასუხის ადგილსამყოფელის დასადგენას, ამასთანავე ადგილობრივი თვითმართველობისა და ადგილობრივი პოლიციის განყოფილების ჩარევა, რაც არ განხორციელებულა. საქალაქო სასამართლომ მხოლოდ დოკუმენტების გაგზავნით ფორმალურად განახორციელა თავისი ვალდებულება. რაც რა თქმა უნდა ამსგავსი ტიპის სენსიტიურ დავებში სადაც, ბავშვის უფლებები არის მოწინავე სრულიად მიუღებელია.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული პრეცენდენტული გადაწყვეტილების შემდეგ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტთან მიმართებაში ბევრი პრობლემა აღმოიფხვრა და ბევრად გაუმჯობესდა სასამართლოების მიდგომა.

[59] საქმე გახარია საქართველოს წინააღმდეგ
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gakharia-saqartvelos-winaagmdeg.pdf

თავი IV დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი სააპელაციო სასამართლოში;

4.1 მხარეთა გამოუცხადებლობა სააპელაციო სასამართლოში

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, კერძოდ კი მე-2 მუხლი მიუთითებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო.[60] სააპელაციო სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას და დასაბუთებულობას, რომელიც მხარეთა მიერ სადავოდ არის მიჩნეული.[61] სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის განსაზღვრული სააპელაციო წარმოების წესი და ფარგლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარიმართება იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ასევე, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.[62]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები სააპელაციო სასამართლოში, კერძოდ კი 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ,,თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

---

[60] საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-2 მუხლი საქართველოს პარლამენტი. 04.12.2009. 2257. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
[61] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020
[62] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 372-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48.1997.

1. ,,თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის ტხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.“
2. ,,ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.[63]

ნაშრომში აღწერილია ყველა ის შემთხვევა, რა დროსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო სასამართლოშიც რომელიმე მხარის ან ორივე მხარის გამოუცხადებლობას უკავშირდება იგივე შედეგი, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ აპელანტი არ გამოცხადდება სხდომაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვის გადადება სურს მწინააღმდეგე მხარეს, მაშინ სააპელაციო სასამართლოს მიერ ხდება პროცესის გადადება სსხვა დროისათვის, რის შესახებაც რა თქმა უნდა უნდა ეცნობოს აპელანტს. თუ აპელანტი კვლავ არ გამოცხადება სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მსგავსად პირველი ინსტანციიის სასამართლოსი, მეორე ინსტანციის სასამართლოსაც შეუძლია მხარეთა გამუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების განუხილველად დატოვება.

სააპელაციო მოპასუხის გამუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს აპელანტის თხოვნით გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან თუ აპელანტს არ აქვს მსგავსი მოთხოვნა სასამართლო გადადებს საქმის განხილვას, თუ მოწინააღმდეგე მხარე კვლავ არ გამოცხადდება ამ შემთხვაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ

[63] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 387-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 47-48. 1997.

გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ თუ რა თქმა უნდა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივარში მითითებულ აპელანტის მოთხოვნას. თუ არ ამართლებს, მაშინ სასამართლო გამოიტანს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შესაძლოა გასაჩივრებულ იქნეს საკასაციო წესით.

საინტერესოა, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მხარის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიოდ იქნა მიჩნეული აპელანტის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს წერილობით მიმართა და წარადგინა გარდაბნის რაიონული სასამართლოს უწყება, ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით, აღნიშნულით დაასაბუთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა და იშუამდგომლა სააპელაციო სასამართლოს სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით განცხადების ავტორმა ვერ დაასაბუთა, რატომ მიანიჭა უპირატესობა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში გამოცხადებას და რატომ არ მოითხოვა ადმინისტრაციული საქმის გადადება იმ ვითარებაში, როდესაც უკვე ხელთ ჰქონდა მოწვევა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ამასთანავე დასაბუთებულად მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას და მიუთითებს, რომ მხარემ სასამართლო სხდომამდე აცნობა პალატას გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა სასამართლოს ქვემდგომი ინცტანციისათვის უპირატესობის მინიჭების

შესახებ. უწყების წარდგენით მხარემ მისი ვალდებულება გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს წინასწარ ინფორმირების თაობაზე სათანადოდ განახორციელა, რაც არ უნდა გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.[64]

[64] სუსგ Nას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი;

შედეგები და მათი განსჯა

ნაშრომში ,,დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი“ განხილულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა მაგალითებს, რომელიც მოყვანილია საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე ყურადღება გამახვილებულია შედარებით ანალიზზე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. პირველი თავი სრულად ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძირითადი არსი და შინაარსი.

მეორე თავში განხილულია გასაჩივრების წესი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა, ამასთანავე მრავლად არის მოყვანილი გადაწყვეტილებები ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ამყარებს ნაშრომს.

საოჯახო სამართლებრივ დავებში, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები დგას საფრთხის წინაშე სასამართლოები ვალდებულნი არიან საქმე განიხილონ დაჩქარებული წესით, თუმცა ეს არ გულსიხმობს დაუსწრებელი სამართალწარმოების მეთოდის გამოყენებას სწორედ, რომ მე-3 თავი სრულად ეთმობა 2017 წლის 17 იანვრის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას ,,გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვან განმარტებებს ვკითხულობთ, რაც შეეხება IV თავს, აქ განხილულია დაუსწრებელი გადაწვეტილების გამოტანის თავისებურებები სააპელაციო ინსტანციაში მხარეთა გამოუცხადებლობის დროს. დასკვნის სახით კი, ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია ყველა ის საკითხი რაც დაკავშირებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული მაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემები და შევეცადე წარმომეჩინა რეკომენდაციები და მოსაზრებები დაუსწრებელი წარმოების ინსტიტუტის დახვეწის მიზნით.

დღესდღეისობით, ქართულ სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება დიდი მნიშვნელობის მატარებელია და სამოქალაქო წარმოებაში ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო საქმეების დაუსწრებლად გადაწყვეტა, სტატისტიკის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილებები რაოდენობრივად აჭარბებს ჩვეულებრივი გადაწყვეტილებების რიცხვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სიხშირეს თან ახლავს პრობლემებიც.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე მხარე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ ანხორციელებს შესაგებლის წარდგენას. ყურადღება მინდა გავამახვილო, შესაგებლის წარდგენის ვადაზე, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის დადგენილი, განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე კი 21 დღეს. სასამართლო პრაქტიკაში ეს ვადა დაყვანილია 10 დღემდე. ვფიქრობ, შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრა დიდ სიფრთხილეს საჭიროებს, რათა არ მოხდეს მხარეთა საპროცესო უფლებების შელახვა. იმისათვის, რომ მოპასუხემ სარჩელისაგან შეძლოს თავის დაცვა და სრულყოფილად ჩამოაყალიბოს ის, მიმამჩნია, რომ აღნიშნული ვადები უნდა გახანგრძლივდეს.

ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხშირად სასამართლოს მხრიდან არ ხდება სრულყოფილად მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგების განმარტება. მოპასუხისათვის გასაგზავნ სარჩელსა და თანდართულ მასალებს თან ახლავს გზავნილი, რომელშიც მითითებულია შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა და

ამასთანავე მითითებულია იმის შესახებაც, რომ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ეს ინფორმაცია არ არის საკმარისი მოპასუხისათვის, რომელმაც შესაძლოა არ იცოდეს თუ რა იგულისიხმება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში, სწორედ ამიტომ, დეტალურად უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება მოპასუხისათვის, რადგან მან რეალურად აღიქვას რამდენად უარყოფითი შედეგი შეიძლება მოუტანოს მას აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ. შესაძლებელია, რომ მოხდეს მხარის ინფორმირებულობა სატელეფონო კავშირის მეშვეობით, რათა მას მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია. ამგვარი განმარტებების გარეშე, სასამართლო არ უნდა იყოს უფლებამოსილი შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

უწყების ჩაბარება მხარეთათვის, ასევე ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფოსტის მეშვეობით უწყების გაგზავნის ორი მცდელობა, ითვლება ჩაბარებად. ამას ითვალსიწინებს სამოქალაქო საპროცსო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთვევაში, თუმცა მიმაჩნია, რომ ფოსტის მუშაკის მიერ უწყების ჩასაბარებლად განხორციელებული მცდელობა არ არის საკმარისი. ხშირია შემთხვევები, როდესაც 2-ჯერ გაგზავნილი უწყების ორივე უკუგზავნილში სხვადასხვა ინფორმაცია არის მითითებული ერთი, რომ ადრესატის მოძიება ვერ განხორციელდა, მეორე, რომ აღნიშნულ მისამართზე არ იმყოფებოდა ადრესატი, შესაბამისად იმის დადგენა თუ რა მიზეზით ვერ მოხერხდა ჩაბარება შეუძლებელია ამიტომაც, ვფიქრობ, სასამართლომ დამატებით

უნდა განახორციელოს უწყების ჩაბარება საქართველოs შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურის დავალებით.

რაც შეეხება საჯარო შეტყობინებით ჩაბარებას, ნაშრომის ანალიზიდან ირკვევა, რომ ხშირად სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არის ფორმალური ხასიათის და არ არის შედეგზე ორიენტირებული, მინდა ამ კუთხით ხაზი გავუსვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას საჯარო შეტყობინების მეშვეობით ჩაბარებას, არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო ყველა ალტერნატიულ მისამართზე გაგზავნას თავს არიდებს არ იყენებს ჩაბარების ყველა მცდელობას და პირდაპირ მიმართავს საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინებას. ცალსახაა, რომ საერთო სასამართლოების ვებ გვერდი, სადაც ხდება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება არ არის ცნობილი ფართო მასებისათვის და მას მხოლოდ იურისტები და ამ სფეროთი დაინტერესებული პირები იყენებენ, შესაბამისად რეალურად ძალიან მინიმალურია იმის შანსი, რომ მხარეს მისი საშუალებით ეცნობოს ინფორმაცია.

ასევე, საინტერესოა განვიხილოთ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პრობლემატურობა დისტანციური პროცესების რეჟიმში. რთული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევები, როდესაც პროცესები მიმდინარეობს დისტანციურად, რაც ითვალისწინებს მხარეთათვის სპეციალური ლინკის გაგზავნას მათ მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულ მეილზე, რის შემდგომაც ისინი ერთვებიან პროცესზე დისტანციურად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დამკვიდრდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მხარის დისტანციურად გამოუცხადებლობა საქმის განხილვის გადადების საფუძველია. ერთ-ერთ საქმეზე N2/19074-19 მოპასუხეს ეცნობა, რომ მოსამზადებელი სხდომა დისტანციურ რეჟიმში გაიმართებოდა და აღნიშნული დასტურდება სატელეფონო აქტიტაც, თუმცა დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარე არ გამოცხადდა და არც

დისტანციურად შემოუერთდა სხდომას, რომელსაც მის მიერ სასამართლოსთვის მოწოდებულ ელექრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნა მოწვევა. სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გაგრძელებულიყო სხვა დროისთვის და მოსარჩელის შუამდგომლობა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა. ვფიქრობ, ამ კუთხით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პრაქტიკა, რომელიც არ შეზღუდავს გამოცხადებული მხარის უფლებებს, მნიშვნელოვანია სასამართლომ შეინარჩუნოს შეჯიბრობითობის პრინციპი და არ დაარღვიოს მხარეთა უფლებები. ამასთანავე, უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული პირობები თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მხარის სასამართლო პროცესზე დისტანციურად გამოუცხადებლობა საპატიოდ და რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს პროცესზე მხარის დისტანციურად ჩაურთველობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაჟღერებულ იქნა მოცემული საკითხების პრობლემატურობა და ხარვეზები, რაც თან ახლავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინტიტუტს. ნაშრომის მიზანია მოხდეს არსებული პრობლემების მოგვარება და დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
4. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი;

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. ირმა მერაბიშვილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ,,ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში" მართლმსაჯულება და კანონი (2007)
2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) თბილისი 2020;
3. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი II გამოცემა(თბილისი: ჯისიაი 2005)
4. შ.ქურდაძე და ნ.ქურდაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რედაქტორი რომან შენგელია (თბილისი:მერიდიანი 2015)

სტატია

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, Justice and Law N4(35)'12

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე N2ბ/33-15
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე N2ბ/2815-16
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/8633-20
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/21328-20

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N2ბ/92-15
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე 2/2803-21
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-446-418-2010 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვ კატეგორიის საქმეებზე;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-894-844-2015, 4 დეკემბერი 2015 წელი;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-930-888-2013, 19 ივნისი 2015 წელი;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-354-336-2015, 29 იანვარი, 2016 წელი;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-175-175-2018;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 09 ივნისის კონსტიტუციური სარჩელი N2/17/1509 (ლენა სვანიძე და ზურაბ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);
13. საქმე გახარია საქართველოს წინააღმდეგ;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე N2/29844-19;
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის განჩინება საქმეზე N2/5282-19;
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე N2/3107-19